ონის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი # 11

ქ. ონი 22. 11. 2023 წ.

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა კომისიის თავმჯდომარე სერგო ლობჯანიძე.

სხდომას 12 წევრიდან ესწრებოდა 10 წევრი: სერგო ლობჯანიძე, ვასილ მეტრეველი, სონია გუგეშაშვილი, ლევან ორდინიძე, მამუკა ყავლაშვილი, გივი მეტრეველი, რევაზ საბანაძე, შალვა კახეთელიძე, შუქურა ჯაფარიძე, თამაზ მეტრეველი

არ ესწრებოდნენ : ზურაბ ბენდიანიშვილი, ნოდარ ბურდილაძე.

ს. ლობჯანიძემ კომისიის წევრებს გააცნო კომისიის სხდომაზე განსახილველი საკითხები:

1.ონის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის განხილვა

/მომხს. ს. ლობჯანიძე-კომისიის თავმჯდომარე/

2. ონის მუნიციპალიტეტის 2024 წლის პროგრამული ბიუჯეტისა და 2024-2027 პრიორიტეტების დოკუმენტის შესახებ

/მომხს. ს. ლობჯანიძე-კომისიის თავმჯდომარე/

3.ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხს. ს. ლობჯანიძე-კომისიის თავმჯდომარე/

4. ონის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ, ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 29 მარტის #14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხს. ს. ლობჯანიძე-კომისიის თავმჯდომარე/

მოისმინეს: 1. ონის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის განხილვა

/მომხს. ს. ლობჯანიძე-კომისიის თავმჯდომარე/

მომხსენებელმა სხდომას გააცნო ონის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტი.

სხდომაზე გამოითქვა შენიშვნები:

1. სოფ. ღებში წყალარინების სისტემის პროექტირებისათვის თანხის გამოყოფა
2. ჩვეშურის ხიდიდან ეკლესიამდე მისასვლელი გზის ასფალტირება
3. მდ. რიონზე ბრილის წმ. გიორგის ეკლესიამდე მისასვლელი საფეხმავლო ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულებისთვის 200 000 ლარის გამოყოფა
4. გაიზარდოს ა(ა)იპ კულტურის სახლის სუბსიდია 40 000 ლარით ცეკვის ანსამბლ ,,ორბას“ თურქეთის რესპუბლიკაში ფესტივალში მონაწილეობის მისაღებად
5. შეძენილ იქნეს საკრებულოსათვის დამატებით 6 კომპიუტერი
6. გამოიყოს საკრებულოს შენობის შიდა რემონტისათვის 10 000 ლარი
7. დამატებით გამოიყოს 15 000 ლარი ვახტანგ მე-6-ის ქუჩაზე სკვერის დასრულებისთვის
8. განხორციელდეს ანტირაბიული აცრების სრულად დაფინანსება
9. გაიზარდოს მიუსაფარი ძაღლების თავშესაფარში გადაყვანის ხარჯი 5 000 ლარით
10. გაიზარდოს სარეზერვო ფონდი 50 000 ლარით

კომისიის წევრებმა გადაწყვიტეს, წარმოდგენილი შენიშვნები გადაეგზავნოს საკრებულოს თავმჯდომარეს რეაგირებისათვის.

მოისმინეს: 2. ონის მუნიციპალიტეტის 2024 წლის პროგრამული ბიუჯეტისა და 2024-2027 პრიორიტეტების დოკუმენტის შესახებ

/მომხს. ს. ლობჯანიძე-კომისიის თავმჯდომარე/

ს. ლობჯანიძემ სხდომას გააცნო ონის მუნიციპალიტეტის 2024 წლის პროგრამული ბიუჯეტისა და 2024-2027 პრიორიტეტების დოკუმენტი

კომისიამ მხარი დაუჭირა საკითხის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანას.

მოისმინეს: 3. ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხს. ს. ლობჯანიძე-კომისიის თავმჯდომარე/

ს. ლობჯანიძემ კომისიის სხდომას გააცნო დადგენილების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ.

კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს საკითხის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანას.

მოისმინეს: 4. ონის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ, ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 29 მარტის #14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხს. ს. ლობჯანიძე-კომისიის თავმჯდომარე/

ს. ლობჯანიძემ კომისიის სხდომას გააცნო დადგენილების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 29 მარტის #14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს საკითხის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანას.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სერგო ლობჯანიძე

კომისიის თავმჯდომარე